საქართველოს პარლამენტი

გენდერული თანასწორობის საბჭო

2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის

შესრულების 2018 წლის ანგარიში

gendercouncil@parliament.ge

შინაარსი

- **ანგარიშის მოკლე შეჯამება**
- **გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა**
- **ამოცანა I - *საქართველოს პარლამენტის მიერ გენდერულ სფეროში ძირითადი მიმართულებების განსაზღვრისა და ახალი კონცეფციის მიღების მხარდაჭერა***

  საქმიანობა 1.1. საქართველოს გენდერული თანასწორობის ახალი სახელმწიფო კონცეფციის პროექტის დამტკიცება.
  საქმიანობა 1.2. გენდერული საბჭოს 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცება და განხორციელება.
  საქმიანობა 1.3. კანონმდებლობის გენდერული ანალიზის მეთოდოლოგიის დანერგვა პარლამენტში.
  საქმიანობა 1.4. ანაზღაურების სხვაობის (Pay Gap) გამოთვლის მეთოდოლოგიის შემუშავება.
  საქმიანობა 1.5. სახელმწიფო ბიუჯეტის გენდერული ანალიზის მეთოდოლოგიის დანერგვა.
  საქმიანობა 1.6. საქართველოს პარლამენტის გენდერული თვითშეფასება (self-assessment).

- **ამოცანა II *გენდერული თანასწორობის სფეროში საკანონმდებლო ბაზის შექმნა და გაუმჯობესება და მისი საერთაშორისო ხელშეკრულებებთან ჰარმონიზაცია***

  საქმიანობა 2.1. "გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები" კვლევის ანგარიშში იდენტიფიცირებულ საკითხებზე საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება.
  საქმიანობა 2.2. ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მხარდამჭერი საკანონმდებლო ცვლილებების ადვოკატირება.
  საქმიანობა 2.5. ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით, არსებული კვლევების საფუძველზე საკანონმდებლო პაკეტის პროექტის მომზადება საქართველოს შრომის კოდექსში და სხვა კანონებში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ.

- **ამოცანა III *გენდერული თანასწორობის სფეროში არსებული სახელმწიფო მექანიზმების გამართული და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა***

  საქმიანობა 3.1. გენდერული თანასწორობის საბჭოს თანამშრომლობის მექანიზმის ჩამოყალიბება მუნიციპალიტეტებში არსებულ გენდერული თანასწორობის საბჭოებთან და გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელ საჯარო მოსამსახურეებთან, აგრეთვე მუნიციპალიტეტის საკრებულოთა წევრ ქალებთან.
  საქმიანობა 3.2. გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან კოორდინაციის მექანიზმის შექმნა.
  საქმიანობა 3.3. შსს სპეციალურ დეპარტამენტთან თანამშრომლობის მექანიზმის ჩამოყალიბება.

ამოცანა IV *პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ინსტიტუციური გაძლიერება და კომუნიკაციის გაძლიერება*

საქმიანობა 4.1. საბჭოს სამდივნოს სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბება.
საქმიანობა 4.2. კომუნიკაციის სტრატეგიის დამტკიცება და განხორციელება.
საქმიანობა 4.4. საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცება.
საქმიანობა 4.5. კოორდინირებული საქმიანობა დონორ ორგანიზაციებთან.

ამოცანა V*გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების და ქალთა გაძლიერების მხარდამჭერ ღონისძიებებში მონაწილეობა*

საქმიანობა 5.1. სავალდებულო გენდერული კვოტირების მისაღებად საჭირო ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების მხარდაჭერა.
საქმიანობა 5.2. თემატური საჯარო შეხვედრების გამართვა საქართველოს რეგიონებში.
საქმიანობა 5.3. ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების მხარდაჭერა და მათში მონაწილეობის მიღება.
საქმიანობა 5.4. თანამშრომლობის და კოორდინაციის გაძლიერება გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებების საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო ქსელებთან და ორგანიზაციებთან.
საქმიანობა 5.5. ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის, ფემიციდის შემთხვევებზე მომუშავე პირების (გამოძიება, სასამართლო, პროკურატურა, იურიდიული დახმარება) ცნობიერების ამაღლების მხარდაჭერა.
საქმიანობა 5.6. სექსუალური შევიწროების შესახებ ცნობიერების ამაღლება.
საქმიანობა 5.7. საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების და/ან სამოქალაქო საზოგადოების მიერ ორგანიზებულ ცნობიერების ამაღლების კამპანიებში აქტიური ჩართულობა.

ამოცანა VI *სახელმწიფო გენდერული პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგი*

საქმიანობა 6.2. გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის ანგარიშის მოსმენა.

მედიაში გაშუქება და სხვა

ანგარიშის მოკლე შეჯამება

საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ, 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით განსაზღვრული 6 ძირითადი ამოცანის შესაბამისად, მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა 2018 წელს:

1. სახელმწიფოს გენდერული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების ჩამოყალიბება

- **მომზადდა საქართველოს გენდერული თანასწორობის ახალი სახელმწიფო კონცეფციის პროექტი;**

- **დამტკიცდა გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა:**
  - გეგმა განიხილეს და დაამტკიცეს საბჭოს წევრებმა;
  - ჩატარდა დონორთა საკოორდინაციო შეხვედრა;
  - გეგმა წარედგინა ყველა ჩართულ მხარეს.

- **დაიწყო კანონმდებლობის გენდერული ანალიზის (GIA) მეთოდოლოგიის დანერგვა პარლამენტში:**
  - შვიდმა საპარლამენტო კომიტეტმა გაიარა ტრენინგი კანონმდებლობის გენდერულ ანალიზზე და დაიწყო GIA-ს განხორციელება კანონპროექტებზე, რომელთაც 2019 წლის იანვარში დაასრულებენ.

- **სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან თანამშრომლობით და საერთაშორისო ორგანიზაციების ტექნიკური დახმარებით, საბჭომ დაიწყო მუშაობა ანაზღაურების სხვაობის (Pay Gap) შემცირებასა და გამოთვლის მეთოდოლოგიის შემუშავებაზე.**

- **პარლამენტის საბიუჯეტო ოფისმა შეიმუშავა ბიუჯეტის გენდერული ანალიზის მეთოდოლოგია და, გენდერული თანასწორობის საბჭოს ჩართულობით, ეს დოკუმენტი გაეგზავნა მთავრობას.**

- **საქართველოს პარლამენტმა განახორციელა პარლამენტის თვითშეფასება, რომელიც მოიცავს გენდერულ თვითშეფასებასაც.**

2. გენდერული თანასწორობის სფეროში საკანონმდებლო ბაზის შექმნა და გაუმჯობესება

- **მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი სექსუალური შევიწროების რეგულირებაზე.**

- **მომზადდა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მხარდამჭერი კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს დროებითი სპეციალური მექანიზმის - გენდერული კვოტირების შემოღებას.**

- **მომზადდა შრომის კოდექსში შესატანი ცვლილებები ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიზნით.**

3. გენდერული თანასწორობის სახელმწიფო მექანიზმების დახვეწა

- **საბჭო თანამშრომლობს მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოებთან და საკრებულოს წევრ ქალებთან.**

- **შეიქმნა კოორდინაციის მექანიზმი გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან.**

- **საბჭო აქტიურად თანამშრომლობს შსს-ს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტთან.**

4. პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ინსტიტუციური გაძლიერება

- **მიღებულია საქართველოს პარლამენტის ახალი რეგლამენტი, რომლის მიხედვითაც საბჭოს სამდივნო ყალიბდება მუდმივ სტრუქტურულ ერთეულად.**
- **დამტკიცდა საბჭოს კომუნიკაციის სტრატეგია.**
- **გაღრმავდა თანამშრომლობა საკონსულტაციო საბჭოსთან.**
- **განმტკიცდა საერთაშორისო თანამშრომლობა:**
  საბჭოს წევრებმა მიიღეს მონაწილეობა 10-ზე მეტ საერთაშორისო ღონისძიებაში, მათ შორის:
  - გაეროს ქალთა სტატუსის განმსაზღვრელი კომისიის ყოველწლიურ სესიაში;
  - ქალთა გლობალურ სამიტში.

5. ცნობიერების ამაღლება გენდერულ თანასწორობაზე

- **საბჭოს წევრებმა მონაწილეობა მიიღეს ცნობიერების ასამაღლებელ სხვადასხვა ღონისძიებაში, რომელიც მოიცავს გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს, როგორიცაა:**
  - ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდა - გენდერული კვოტირება;
  - ოჯახში ძალადობის და ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია;
  - ქალთა ეკონომიკური გაძლიერება;
  - სექსუალური შევიწროება.
- **ჩატარდა 6 რეგიონული თემატური საჯარო შეხვედრა საბჭოს წევრების მონაწილეობით.**

6. სახელმწიფო გენდერული პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგი

- **საბჭო გაეცნო გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის 2018 წლის მუშაობის ანგარიშს.**

სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები

- **საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობა დადებითად შეაფასა და საბჭოს თავმჯდომარე, თამარ ჩუგოშვილი გენდერული თანასწორობის მიღწევაში გაწეული წლვილისთვის დააჯილდოვა.**



ამოცანა I- *საქართველოს პარლამენტის მიერ გენდერულ სფეროში ძირითადი მიმართულებების განსაზღვრისა და ახალი კონცეფციის პროექტის მიღების მხარდაჭერა*

საქმიანობა 1.1. საქართველოს გენდერული თანასწორობის ახალი სახელმწიფო კონცეფციის პროექტის დამტკიცება

გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის ახალი ვარიანტის შემუშავების შესახებ გადაწყვეტილება საბჭომ 2017 წელს მიიღო. კვლევაზე და მტკიცებულებებზე დამყარებული პოლიტიკის წარმოების მიზნით, 2017 წელს შეიქმნა საბაზისო კვლევა "გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები". სწორედ ამ კვლევაში ასახული გამოწვევები და რეკომენდაციები დაედო საფუძვლად კონცეფციის ახალი პროექტის შემუშავებას.

2018 წლის იანვარში, კონცეფციის პროექტი განხილულ იქნა საბჭოს წევრების მიერ. შიდა დისკუსიის ფარგლებში, განისაზღვრა პროექტის მთავარი პრიორიტეტები და მიმართულებები, რომელთაც სახელმწიფო გენდერული პოლიტიკა დაეფუძნება.

2018 წლის 30 იანვარს საბჭომ გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის პროექტი სამოქალაქო საზოგადოების წევრებს, საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს წარუდგინა. მოგვიანებით, კონცეფციის პროექტის პრეზენტაცია მოხდა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან.

2018 წელს გაეროს ქალთა ორგანიზაციამ გენდერული თანასწორობის საბჭოსთვის აიყვანა ექსპერტ-კონსულტანტი, რომელმაც მოამზადა გენდერული თანასწორობის ახალი სახელმწიფო კონცეფციის პროექტი, რომელიც მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: დისკრიმინაცია, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა, ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და შრომითი უფლებები, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა, ბავშვთა ქორწინება და სხვა საზიანო პრაქტიკები, ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება, განათლება, ჯანდაცვა, კულტურა და სპორტი.

კონცეფციის პროექტი უნდა განიხილოს და დაამტკიცოს გენდერული თანასწორობის საბჭომ.

საქმიანობა 1.2. გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცება და განხორციელება

2018 წლის 10 -11 იანვარს, გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის ფარგლებში, საბჭოს წევრებმა განიხილეს 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია და განსაზღვრეს საბჭოს საქმიანობის მთავარი პრიორიტეტები და მიმართულებები.

30 იანვარს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ჩუგოშვილმა სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია სამოქალაქო საზოგადოებას, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებს წარუდგინა. 2018 წლის 17 აპრილს, გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომაზე, საბჭოს წევრებმა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა დაამტკიცეს, სადაც სრულად იქნა გაზიარებული საბჭოს წევრების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მიერ გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები.

სამოქმედო გეგმის დამტკიცების შემდეგ, ტექნიკური დახმარების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით გაიმართა დონორთა საკოორდინაციო შეხვედრა. სამოქმედო გეგმის განხორციელებაში საბჭოს ტექნიკურ დახმარებას უწევენ შემდეგი ორგანიზაციები: UNDP, UN Women, PROLoG/USAID, NDI, GGI/USAID, GIZ, UNFPA.
საბჭოს სამოქმედო გეგმა განთავსებულია პარლამენტის ვებგვერდზე.

საქმიანობა 1.3. კანონმდებლობის გენდერული ანალიზის მეთოდოლოგიის დანერგვა პარლამენტში.

2018 წლის 13 ივლისს გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა გენდერული გავლენის შეფასების მეთოდოლოგიასა და მისი პარლამენტში დანერგვის პრინციპებზე. ამავე თვეში, საბჭოს კოორდინატორი შეხვდა პარლამენტის კომიტეტების აპარატის უფროსებს, რომელთაც დაევალათ თითოეული კომიტეტიდან 2-3 თანამშრომლის გამოყოფა კანონპროექტების გენდერული გავლენის შეფასების განსახორციელებლად.

2018 წლის 25-26 სექტემბერს ჩატარდა გენდერული გავლენის შეფასების (GIA) ტრენინგი პარლამენტის 7 კომიტეტის აპარატის თანამშრომლებისთვის. მათ წარმოადგინეს კანონპროექტები (თითო კანონპროექტი თითო კომიტეტმა), რომელზეც ახორციელებენ გენდერულ ანალიზს და, რომელთა პრეზენტაციაც დაგეგმილია 2019 წლის იანვარში.

საქმიანობა 1.4. ანაზღაურების სხვაობის (Pay Gap) გამოთვლის მეთოდოლოგიის შემუშავება.

2018 წლის 2 ოქტომბერს გაიმართა სამუშაო შეხვედრა: „როგორ გავზომოთ და შევამციროთ გენდერული უთანასწორობა ანაზღაურებებს შორის“. ღონისძიება, რომელსაც გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან ერთად ესწრებოდნენ საქართველოს მთავრობის, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მიზნად ისახავდა ანაზღაურებებს შორის სხვაობის გამოთვლის მეთოდოლოგიასა და სხვაობის შემცირებაზე მსჯელობას. შეხვედრის ფარგლებში გამოიკვეთა სამომავლო ნაბიჯები, კერძოდ საქსტატი გამოაქვეყნებს პოზიციების მიხედვით გენდერული ნიშნით ანაზღაურებებს შორის სხვაობის ახალ მონაცემებს. ასევე, საქსტატი, გაეროს ქალთა ორგანიზაციის ტექნიკური დახმარებით, გაანალიზებს სამუშაო ძალის გამოკვლევის (LFS) პირველ ტალღას.

2018 წლის 1 ნოემბერს, გენდერული თანასწორობის საბჭოს სამდივნო, გაეროს ქალთა ორგანიზაცია და UNDP საქართველო შეხვდნენ Pay Gap-ზე მომუშავე უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებს, სადაც დეტალურად იქნა განხილული ანაზღაურებებს შორის გენდერული უთანასწორობის შემცირების კუთხით სამომავლოდ დაგეგმილი ნაბიჯები, კერძოდ:

- საქსტატი, გაეროს ქალთა ორგანიზაციის ტექნიკური დახმარებით, ჩაატარებს ახალ კვლევას ანაზღაურებებს შორის გენდერულ უთანასწორობაზე და შედეგები წარმოდგენილი იქნება 2019 წლის მაისში;
- სამმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში (პროფკავშირები, ჯანდაცვის სამინისტრო, ILO) ჩამოყალიბდება კერძო სექტორში თანაბარი ანაზღაურება თანაბარი შრომისთვის გამოთვლის მეთოდოლოგია ILO-ს რეკომენდაციების მიხედვით (2019 წ. ივნისი)
- ანაზღაურებებს შორის გენდერული უთანასწორობის თავიდან დათვლის შემდეგ, გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის მხარდასაჭერად, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, UNDP და ILO ჩაატარებენ ღონისძიებას, სადაც წარმოდგენილი იქნება ახალი მონაცემები და მოხდება ამ საკითხის ფართო ჭრილში განხილვა სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებთან ერთად.

ანაზღაურებებს შორის გენდერული უთანასწორობის სხვაობის შემცირების და გამოთვლის მეთოდოლოგიის შემუშავების პროცესში გენდერული თანასწორობის საბჭოს ტექნიკურ დახმარებას უწევენ გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) და გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP).

საქმიანობა 1.5. სახელმწიფო ბიუჯეტის გენდერული ანალიზის მეთოდოლოგიის დანერგვა

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისმა შეიმუშავა ბიუჯეტის გენდერული ანალიზის მეთოდოლოგია და, გენდერული თანასწორობის საბჭოს ჩართულობით, ეს დოკუმენტი გაეგზავნა მთავრობას. მეთოდოლოგიის ეფექტიანად იმპლემენტაციისთვის სამინისტროების წარმომადგენლებს ჩაუტარდათ ტრეინინგები, რათა აქტიურად გამოეყენებინათ აღნიშნული მეთოდოლოგია მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის შემუშავებისას.

2018 წლის 17 აპრილს, გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის ფარგლებში, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელმა, თათა ხეთაგურმა წარმოადგინა პრეზენტაცია „სახელმწიფო ბიუჯეტი გენდერულ ჭრილში“. პრეზენტაციაში ყურადღება გამახვილდა გენდერული ბიუჯეტირების ზოგად არსზე და ამ კუთხით საერთაშორისო დონეზე არსებულ პრაქტიკაზე, საქართველოში არსებულ გენდერულ ბიუჯეტირებასა და გენდერული მნიშვნელოვნების ინდექსზე. ამასთან ერთად, მიმოხილულ იქნა მაღალი გენდერული მნიშვნელობის მქონე საბიუჯეტო პროგრამები.

2018 წლის 8 მაისს გაიმართა სამუშაო შეხვედრა პარლამენტის საბიუჯეტო ოფისთან მათ მიერ მომზადებული კვლევის - „სახელმწიფო ბიუჯეტი გენდერულ ჭრილში“ თაობაზე. შეხვედრაზე განხილულ იქნა ისეთი საკითხები, როგორიცაა გენდერული ბიუჯეტირების არსი, საერთაშორისო პრაქტიკა ამ კუთხით და საქართველოს წინაშე მდგარი გამოწვევები. საბიუჯეტო ოფისმა წარმოადგინა კვლევის მიმართ საკუთარი მიდგომა. მათ გენდერული სენსიტიურობა შეცვალეს გენდერული მნიშვნელოვნებით და შეიმუშავეს გენდერული მნიშვნელოვნების ინდექსი. მათ ასევე ჩამოაყალიბეს ცალკეული კატეგორიები, რომელზე დაფუძნებითაც შეაფასეს პროგრამები.

2018 წლის 12 ნოემბერს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი, დიმიტრი ცქიტიშვილი და პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის წარმომადგენლები გენდერული ბიუჯეტირების ავსტრიელ ექსპერტს, ელიზაბეტ კლაცერს შეხვდნენ. შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს გენდერული ბიუჯეტირების კუთხით თავიანთი გამოცდილება. საბიუჯეტო ოფისმა ექსპერტს წარმოუდგინა „სახელმწიფო ბიუჯეტი გენდერულ ჭრილში“ - კვლევის პრეზენტაცია და გააცნო მათ მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის მოდელი.

საქმიანობა 1.6. საქართველოს პარლამენტის გენდერული თვითშეფასება (self-assessment)

საქართველოს პარლამენტმა „ღია პარლამენტის“ მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში აიღო ვალდებულება დანერგოს საპარლამენტთაშორისო კავშირის (IPU) მიერ შემუშავებული პარლამენტის თვითშეფასების ინსტრუმენტი. ეს ინსტრუმენტი საკანონმდებლო ორგანოებს შესაძლებლობას აძლევს შეაფასონ თავიანთი საქმიანობა უმთავრესი დემოკრატიული ღირებულებების მიხედვით.

11-12 ივნისს თბილისში გაიმართა პარლამენტის თვითშეფასების სამუშაო შეხვედრა. თვითშეფასების ინსტრუმენტი პარლამენტთაშორისი საერთაშორისო კავშირის (IPU) მეთოდოლოგიას ეყრდნობა და საქართველოს კონტექსტზეა ადაპტირებული. პარლამენტის თვითშეფასების ნაწილია მისი გენდერული თვითშეფასების პროცესი, რომლის განხორციელებასაც საბჭოს 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს. თვითშეფასების სამუშაო შეხვედრამდე, ადგილობრივ კონტექსტზე ადაპტირდა მეთოდოლოგიის კითხვარი და პარლამენტის წევრებსა და აპარატის თანამშრომლებს მიეცათ შესაძლებლობა ელექტრონული კითხვარის საშუალებით შეეფასებინათ პარლამენტი.

2018 წლის ბოლოს დასრულდა მუშაობა პარლამენტის თვითშეფასების ანგარიშზე, რომელიც მოიცავს გენდერულ თვითშეფასებასაც და განთავსებულია პარლამენტის ვებგვერდზე.

პარლამენტის თვითშეფასების პროცესის მხარდამჭერები არიან USAID-ის დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) და გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) გაეროს ერთობლივი პროგრამის გენდერული თანასწორობისთვის (UNJP) ფარგლებში.



ამოცანა II - *გენდერული თანასწორობის სფეროში საკანონმდებლო ბაზის შექმნა და გაუმჯობესება და მისი საერთაშორისო ხელშეკრულებებთან ჰარმონიზაცია*

საქმიანობა 2.1. "გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები" კვლევის ანგარიშში იდენტიფიცირებულ საკითხებზე საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება

2018 წლის 28 მარტს, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა სამოქალაქო საზოგადოების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად, სამუშაო შეხვედრა გამართეს სექსუალური შევიწროების საკანონმდებლო დონეზე რეგულირების შესახებ. შეხვედრაზე განხილულ იქნა ისეთი საკითხები, როგორებიცა - ეფექტური აღსრულების მექანიზმის შექმნა, მტკიცების სტანდარტი და სამუშაო ადგილებზე სექსუალური შევიწროების პრევენცია. PROLoG/USAID-ის პროგრამის ტექნიკური მხარდაჭერით, გაგრძელდა ერთობლივი მუშაობა სექსუალური შევიწროების შესახებ კანონპროექტის დასაინიცირებლად: შეირჩა ადგილობრივი ექსპერტი, ნინო ჩიხლაძე, რომელმაც თავი მოუყარა აქამდე ჩატარებულ კვლევებს, საერთაშორისო პრაქტიკას და მოამზადა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი.
სამოქალაქო საზოგადოებასთან და ჩართულ მხარეებთან კონსულტაციების ეტაპზე, საბჭოს მხარს უჭერდა გაეროს ქალთა ორგანიზაცია.

საბჭომ, მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის სამუშაო ვერსია სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებს სხვადასხვა ფორმატში გააცნო:

2018 წლის 1 ოქტომბერს, CSR კვირეულის - „ბიზნესი მდგრადი განვითარების მიზნებისთვის" ფარგლებში, გაიმართა შეხვედრა "სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების პრევენცია," სადაც გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი, დიმიტრი ცქიტიშვილი ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს ესაუბრა სექსუალური შევიწროების საკითხზე საზოგადოებასთან სწორი კომუნიკაციის და კომპანიების მიერ გატარებულ პოლიტიკაზე მუშაობის მნიშვნელობაზე. დამსწრეები ასევე გაეცნენ გენდერული თანასწორობის საბჭოს საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტს სექსუალურ შევიწროებაზე.

2018 წლის 20 ოქტომბერს ჩატარდა სამუშაო შეხვედრა სექსუალური შევიწროების რეგულირებაზე საქართველოს პარლამენტის წევრებთან. შეხვედრა მიზნად ისახავდა სექსუალური შევიწროების საკითხის სწორად განსაზღვრას და კანონპროექტის მიღების მნიშვნელობის წარმოჩენას. ღონისძიების ფარგლებში გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრმა, დიმიტრი ცქიტიშვილმა PROLoG/USAID-ის ექსპერტთან, ნინო ჩიხლაძესთან ერთად, მიმოიხილა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი სექსუალური შევიწროების რეგულირებაზე და მოისმინა დამსწრე დეპუტატების პოზიცია აღნიშნულ პაკეტთან დაკავშირებით. დამსწრეებს ასევე სიტყვით მიმართეს შსს-ს ადამიანის უფლებათა დაცვის დირექტორმა, ლონდა თოლორაიამ და სახალხო დამცველის მოადგილემ, ეკა სხილაძემ. მათ თავიანთი უწყებების ხედვა წარმოადგინეს. შსს და სახალხო დამცველი აქტიურად იყვნენ ჩართული კანონპროექტის მომზადების პროცესში, ვინაიდან აღსრულების მექანიზმს სწორედ ეს ორი უწყება ინაწილებს.
სამუშაო შეხვედრა ჩატარდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის და PROLoG/USAID-ის პროგრამის მხარდაჭერით.

2018 წლის 21 ნოემბერს გაიმართა სამუშაო შეხვედრა საქართველოში სექსუალური შევიწროების სამართალწარმოების და რეგულირების საკითხებზე, რომლის ფარგლებში საბჭოს წევრმა, დიმიტრი ცქიტიშვილმა, გენდერული თანასწორობის საბჭოს სახელით საკანონმდებლო პაკეტის ძირითადი მიმართულებები გაუზიარა დამსწრე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. შეხვედრის ფარგლებში გაიმართა დისკუსია და არასამთავრობო ორგანიზაციების წევრებმა საბჭოს თავიანთი შენიშვნა-რეკომენდაციები გაუზიარეს.

2018 წლის 27 ნოემბერს, გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ჩუგოშვილმა მონაწილეობა მიიღო პანელურ დისკუსიაში თემაზე: გენდერული ძალადობა და სექსუალური შევიწროება“. შეხვედრას სხვა სტუმრებთან ერთად, ესწრებოდნენ სტუდენტები, რომელთაც საბჭოს თავმჯდომარე ესაუბრა პრობლემის აქტუალობასა და მნიშვნელობაზე და პრინციპების დონეზე გაუზიარა გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი.

2018 წლის 30 ნოემბერს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრმა, დიმიტრი ცქიტიშვილმა სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მასზე რეაგირების შესახებ გაეროს თემატური ჯგუფის მაღალი დონის შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. თავის გამოსვლაში მან ხაზი გაუსვა სექსუალური შევიწროების პრობლემის მოგვარებისთვის საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავების მნიშვნელობას და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების აუცილებლობას. მან ასევე მიმოიხილა საბჭოს მიერ შემუშავებული კანონპროექტი.
შეხვედრა გაიმართა გაეროს გენდერის თემატური ჯგუფის მიერ, გაეროს ქალთა ორგანიზაციის და PROLoG/USAID-ის პროგრამის მხარდაჭერით.

2018 წლის 19 დეკემბერს გაიმართა სექსუალური შევიწროების რეგულირებაზე გენდერული თანასწორობის საბჭოს კანონპროექტის საჯარო პრეზენტაცია, რომელსაც საბჭოს წევრებთან ერთად ესწრებოდნენ სამთავრობო უწყებების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. შეხვედრას მოდერაციას უწევდნენ გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, თამარ ჩუგოშვილი და საბჭოს წევრი, დიმიტრი ცქიტიშვილი,ხოლო, კანონპროექტის პრეზენტაცია წარმოადგინა PROLoG/USAID-ის პროგრამის ექსპერტმა, ნინო ჩიხლაძემ. ღონისძიების ფარგლებში საბჭოს წევრებმა მოისმინეს დამსწრეთა მოსაზრებები, კომენტარები და რეკომენდაციები, როგორც უშუალო კანონპროექტზე, ასევე ზოგადად - სექსუალური შევიწროების პრობლემასა და სავარაუდო სამომავლო გეგმებზე.
შეხვედრა გაიმართა PROLoG/USAID-ის პროგრამის ტექნიკური მხარდაჭერით.

საქმიანობა 2.2. ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მხარდამჭერი საკანონმდებლო ცვლილებების ადვოკატირება

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მხარდამჭერი სამუშაო ჯგუფის (Task Force) მიერ მომზადებული კანონპროექტი სავალდებულო გენდერული კვოტირების შესახებ, პარლამენტში 2017 წლის ივნისში დარეგისტრირდა.

2017-2018 წლების მანძილზე კანონპროექტზე, როგორც ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდის მექანიზმზე ცნობიერების ამაღლების მრავალი ღონისძიება ჩატარდა.

2017 წლის შემოდგომაზე, კანონპროექტს, პირველ საკომიტეტო მოსმენაზე მხარი დაუჭირა სამმა საპარლამენტო კომიტეტმა.

2018 წლის 21-23 მარტს საქართველოს პარლამენტმა პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით განიხილა კანონპროექტი სავალდებულო გენდერული კვოტირების შესახებ. კანონპროექტმა 76 საჭირო ხმიდან 66 ხმა მიიღო.

გენდერული თანასწორობის საბჭომ მოამზადა ახალი კანონპროექტი და უახლოეს მომავალში, პლენარულ სესიაზე სახეცვლილი კანონპროექტით განიხილება გენდერული კვოტირების შემოღების საკითხი.

საქმიანობა 2.5. ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით, არსებული კვლევების საფუძველზე საკანონმდებლო პაკეტის პროექტის მომზადება საქართველოს შრომის კოდექსში და სხვა კანონებში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ

ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით და გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრის, დიმიტრი ცქიტიშვილის ინიციატივით, საბჭომ, PROLoG/USAID-ის პროგრამის ტექნიკური მხარდაჭერით, მოამზადა კანონპროექტი შრომის კოდექსში შესატან ცვლილებებზე. კანონპროექტი მიზნად ისახავს შრომის ბაზარზე ქალთა უფლებების დაცვას და მათ ეკონომიკურ განვითარებას. მისი ძირითადი მიმართულებებია:

- წინა სახელშეკრულებო პერიოდი
- უფლებები სამუშაო ადგილას
- სამუშაოდან დათხოვნა

2018 წლის 11 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა დაცვის კვირეულის ფარგლებში, გაიმართა კონფერენცია: „ქალი, შრომა, უფლებები“. ღონისძიებაზე გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან ერთად, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მნიშვნელობაზე ისაუბრეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ და USAID-ისა და ევროკავშირის წარმომადგენლებმა. კონფერენციაზე საბჭოს წევრმა, დიმიტრი ცქიტიშვილმა წარმოადგინა შრომის კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტი და დამსწრე საზოგადოების კომენტარები და რეკომენდაციები მოისმინა.
კონფერენცია ჩატარდა PROLoG/USAID-ის ტექნიკური მხარდაჭერით.

11 დეკემბერს ასევე გაიმართა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მხარდამჭერი მეორე ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ჩუგოშვილმა. მან ისაუბრა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მნიშვნელობაზე და საზოგადოებას გააცნო ის საკითხები, რომელზეც პარლამენტი და გენდერული თანასწორობის საბჭო მუშაობს - გენდერული უთანასწორობით გამოწვეული პრობლემების დროულად აღმოსაფხვრელად. თამარ ჩუგოშვილმა მიმოიხილა შრომის კოდექსში შესატანი ცვლილებები, ანაზღაურებებს შორის გენდერული უთანასწორობის (Gender Pay Gap) პრობლემა და სექსუალური შევიწროება სამუშაო ადგილზე.

საქმიანობა 2.6. სახალხო დამცველის საკანონმდებლო წინადადების საფუძველზე ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მიერ ინიცირებული კანონპროექტის მხარდაჭერა

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე იმსჯელეს სამუშაო შეხვედრაზე, რომელიც გაიმართა 2018 წლის 18 აგვისტოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ორგანიზებითა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით.

განხილვაში ჩართული იყვნენ გენდერული თანასწორობის საბჭოს, სახალხო დამცველის ოფისის და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სამუშაო შეხვედრის მთავარი თემა მონაწილე მხარეეების მიერ მომზადებული, ქალთა უფლებების დაცვის გაძლიერებისკენ მიმართული შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის ერთმანეთისთვის გაზიარება იყო.

აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში, კომიტეტის მიერ მომზადებული პროექტით გათვალისწინებულია ცვლილებების შეტანა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში, საქართველოს კანონში „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“, საქართველოს პატიმრობის კოდექსში და სამოქალაქო საპროცესო კოდექსში.



ამოცანა III - *გენდერული თანასწორობის სფეროში არსებული სახელმწიფო მექანიზმების გამართული და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა*

საქმიანობა 3.1. გენდერული თანასწორობის საბჭოს თანამშრომლობის მექანიზმის ჩამოყალიბება აფხაზეთისა და აჭარის ა/რ უმაღლეს საბჭოებთან არსებულ გენდერული თანასწორობის საბჭოებთან, მუნიციპალიტეტებში არსებულ გენდერული თანასწორობის საბჭოებთან და გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელ საჯარო მოსამსახურეებთან, აგრეთვე მუნიციპალიტეტის საკრებულოთა წევრ ქალებთან.

2018 წლის 16 იანვარს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის არსებული მექანიზმების შესახებ საკოორდინაციო შეხვედრას უმასპინძლა. შეხვედრაში მონაწილეობა ათზე მეტმა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციამ მიიღო. საკოორდინაციო შეხვედრაზე ორგანიზაციებმა ადგილობრივ დონეზე გენდერული პოლიტიკის განხორციელების ხედვა და გეგმები წარმოადგინეს.

2018 წლის 15 მაისს გაიმართა პირველი ეროვნული კონფერენცია - „გენდერული თანასწორობა ადგილობრივ თვითმმართველობებში - გამოწვევები და შესაძლებლობები“. კონფერენციას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები, მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოების თავმჯდომარეები და საკონტაქტო პირები, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. კონფერენციის მონაწილეები გაეცნენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ეროვნულ დონეზე არსებული ვალდებულებები, ეროვნული მექანიზმები და გენდერული თანასწორობის ეროვნული სამოქმედო გეგმა; მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოების შექმნის საკანონმდებლო საფუძვლები და უფლება-მოვალეობები; ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე გენდერული საკითხების საკოორდინაციო მექანიზმები და საერთაშორისო გამოცდილება.
ღონისძიება გაიმართა საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ორგანიზებით და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით.

2018 წლის 17-18 მაისს, NDI-ს „მომავალ ლიდერ ქალთა პროგრამის“ ფარგლებში, გაიმართა ტრენინგები ქუთაისსა და თბილისში მონაწილე ადგილობრივი გენდერული თანასწორობის საბჭოების წევრებისთვის. ტრენინგის ფარგლებში მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობასა და სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესზე.

2018 წლის 15 ივნისს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ჩუგოშვილმა გახსნა რეგიონული კონფერენცია - „მეტი ქალის ხმა ადგილობრივ თვითმმართველობაში“. კონფერენციის მიზანი იყო იმერეთის მხარის თორმეტივე მუნიციპალიტეტის და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის ინფორმაციის მიწოდება ქალთა საჭიროებებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გენდერული პოლიტიკის პრინციპების შესახებ.

2018 წლის ივლისში საბჭოს ვებგვერდზე განთავსდა გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმი - ინტერაქტიული რუკა, რომელზეც დატანილია ინფორმაცია მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოების, პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და უწყებათაშორისი კომისიის შესახებ. აღნიშნული რუკისთვის ინფორმაცია გენდერული თანასწორობის საბჭომ 64 საკრებულოდან გამოითხოვა. რუკა შექმნილია ქალთა საინფორმაციო ცენტრის (WIC) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ, შვედეთის მთავრობის ხელშეწყობით.

2018 წლის 24 სექტემბერს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, თამარ ჩუგოშვილი სიტყვით გამოვიდა საქართველოს საკრებულოს წევრ ქალთა ფორუმის ყოველწლიურ კონფერენციაზე, სადაც მან ისაუბრა იმ დადებით შედეგებზე, რომელიც მოჰყვება ქალთა წარმომადგენლობის გაზრდას ადგილობრივ თვითმმართველობასა და ცენტრალურ ხელისუფლებაში. მან ასევე ხაზი გაუსვა სავალდებულო გენდერული კვოტირების მიღების მნიშვნელობას.

საქმიანობა 3.2. გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან კოორდინაციის მექანიზმის შექმნა

2018 წლის 13 ივნისს გაიმართა შეხვედრა გენდერული თანასწორობის საბჭოს სამდივნოს წევრებსა და არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებს შორის კოორდინირებული მუშაობის მიზნით. შეხვედრაზე განხილულ იქნა თითოეული უწყების თუ ორგანიზაციის საქმიანობა და სამომავლო გეგმები ეფექტური თანამშრომლობის დამყარების და საქმიანობების გადაფარვის თავიდან არიდების მიზნით.

კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარისა და საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის შეთანხმებით, კომისიის სხდომებზე დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს შორის, ერთი საკითხი ყოველთვის დაეთმობა გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის განხილვას და იგივე პრინციპით, საბჭოს სხდომის დღის წესრიგით, მუდმივად იქნება გათვალისწინებული კომისიის საქმიანობის/საკითხების განხილვა.

საქმიანობა 3.3. შსს-ს სპეციალურ დეპარტამენტთან თანამშრომლობის მექანიზმის ჩამოყალიბება

საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო მჭიდროდ თანამშრომლობს შინაგან საქმეთა სამინისტროს ახლადშექმნილ ადამიანის უფლებათა დეპარტამენტთან. საბჭოს წევრებმა დეპარტამენტის დირექტორს, ლონდა თოლორაიას მოუსმინეს 2018 წლის 17 აპრილის სხდომაზე. ამასთან ერთად, შსს-ს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი აქტიურადაა ჩართული სექსუალური შევიწროების რეგულირების თემაზე გენდერული თანასწორობის საბჭოს საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის შემუშავების პროცესში.

ამოცანა IV - პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ინსტიტუციური გაძლიერება და კომუნიკაციის გაძლიერება

საქმიანობა 4.1. საბჭოს სამდივნოს სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბება

2018 წლის ივნისში, პარლამენტში დაინიცირდა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტი, რომლის თანახმადაც, პროექტის დამტკიცების შემდეგ, გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობას განახორციელებს საბჭოს აპარატი (ახალი სტრუქტურული ერთეული). საბჭო იქნება პარლამენტის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანო და მას ექნება თემატური მოკვლევების განხორციელების შესაძლებლობა.

2018 წლის 6 დეკემბერს, პარლამენტმა მესამე მოსმენით განიხილა და კენჭისყრის შედეგად, მხარი დაუჭირა „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტს“.

ახალი რეგლამენტი ძალაში შევიდა **17 დეკემბრიდან**.

საქმიანობა 4.2. კომუნიკაციის სტრატეგიის დამტკიცება და განხორციელება

გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018-2020 წლების კომუნიკაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2018 წლის იანვარში, საბჭოს სხდომაზე დამტკიცდა.

სტრატეგიის დოკუმენტი შემუშავდა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მხარდაჭერით. კომუნიკაციის სტრატეგიაზე მუშაობა საბჭოში 2017 წლის შემოდგომაზე დაიწყო და მოიცავდა სამუშაო შეხვედრებს, შიდა და გარე ჩართული მხარეების გამოკითხვებს, არსებული პრობლემების კვლევასა და ანალიზს.

საქმიანობა 4.4. საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცება.

2018 წლის 11-15 მარტს საქართველოს სახელმწიფო დელეგაციის და გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა: თამარ ჩუგოშვილმა, დიმიტრი ცქიტიშვილმა და ელენე ხოშტარიამ მონაწილეობა მიიღეს გაეროს ქალთა სტატუსის განმსაზღვრელი კომისიის 62-ე სესიის მუშაობაში. სესიის ფარგლებში, საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ჩუგოშვილმა სიტყვით მიმართა დელეგაციების წარმომადგენლებს და ისაუბრა იმ პოზიტიური ცვლილებების შესახებ, რომლებიც ხორციელდება საქართველოში ადგილობრივ დონეზე ქალების გასაძლიერებლად, აგრეთვე ყურადღება გაამახვილა იმ გამოწვევებზე, რომლებიც ხელს უშლის ქალებს საკუთარი პოტენციალის რეალიზებაში.

2018 წლის მარტში, აშშ-ში ვიზიტის ფარგლებში, გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა მნიშვნელოვანი შეხვედრები გამართეს:

12 მარტს UNDP-ის ხელმძღვანელთან, აქიმ შტეინერთან გაიმართა ორმხრივი შეხვედრა, რომლის დროსაც საუბარი იყო საქართველოში არსებულ მდგომარეობასა და მიმდინარე რეფორმებზე;
ორმხრივი შეხვედრა გაიმართა საფრანგეთის პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიის ვიცე-პრეზიდენტთან, მირეი კლაპოსთან, სადაც საბჭოს წევრებმა გააცნეს ინფორმაცია საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე, როგორც საპარლამენტო დონეზე გენდერული პოლიტიკის შემუშავების კუთხით, ასევე, განგრძობითი ოკუპაციის პირობებში, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები, იძულებით გადაადგილებული და კონფლიქტით დაზარალებული ქალების მდგომარეობის შესახებ;

12 მარტს, გაეროსთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობისა და UNDP საქართველოს ინიციატივით გამართულ სპეციალურ ღონისძიებას - „სოფლად მცხოვრები ქალების გაძლიერება გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე მათი შესაძლებლობების გაზრდი,“ უმასპინძლეს საბჭოს წევრებმა;

13 მარტს გაიმართა შეხვედრები: დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელთან გენდერულ საკითხებში, ჯოანა როპერთან; დომინიკის რესპუბლიკის ქალთა მინისტრთან, ჯანეტ კამილონთან და ეკვადორის საგარეო საქმეთა მინისტრთან, მარია ფერნანდა ესპინოზასთან.

2018 წლის 19-20 მარტს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრმა, ნინო გოგუაძემ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო სამიტში პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე, სადაც მან საქართველოში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე ისაუბრა, რომლებიც ეხება ქალთა მიმართ ძალადობის და რეაგირების მექანიზმებს.

2018 წლის 11-14 აპრილს გენდერული თანასწორობის საბჭომ შვედეთის პარლამენტის მესამე ვიცე-სპიკერს უმასპინძლა

11 აპრილს საბჭოს წევრები შვედეთის პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს, იზაბელ დინგიზიანს შეხვდნენ. შეხვედრის ფარგლებში განხილულ იქნა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის საკითხი და ამ მიმართულებით არსებული გამოწვევები, ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის და აღმოფხვრის საკითხები და საქართველოს მიერ სტამბოლის კონვენციის რატიფიკაცია და თანმხლები საკანონმდებლო ცვლილებები.

იმავე დღეს იზაბელ დინგიზიანი თბილისის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებს შეხვდა და გაუზიარა შვედეთის გამოცდილება გენდერული თანასწორობის კუთხით.

14 აპრილს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ჩუგოშვილმა, შვედეთის პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილესთან, იზაბელ დინგიზიანთან ერთად, მონაწილეობა მიიღო კაჭრეთში გამართულ შეხვედრაში, სადაც მან ისაუბრა გენდერული თანასწორობის მნიშვნელობაზე ქვეყნის წინსვლისა და მდგრადი განვითარების კუთხით და დამსწრეებს საბჭოს მიერ თანასწორობის საკითხებზე მიღწეული წარმატებები გაუზიარა.
კაჭრეთში ვიზიტი გაიმართა UNDP-ის, შვედეთის მთავრობისა და საქართველოს პარლამენტის ორგანიზებით, შვედეთის მიერ დაფინანსებული გეროს ერთობლივი პროგრამის ფარგლებში, რომელიც გენდერული თანასწორობის მიღწევას ემსახურება.

2018 წლის 26 აპრილს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში გენდერული თანასწორობის თემაზე პანელური დისკუსია გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდა გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, თამარ ჩუგოშვილი.

2018 წლის 27 მაისი-2 ივნისი - უწყებათაშორისი კომისიის მხარდამჭერი ევროკავშირის პროექტის ფარგლებში, გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი, დიმიტრი ცქიტიშვილი სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ესპანეთში. ვიზიტის ფარგლებში, შეხვედრები გაიმართა ადგილობრივ სამინისტროებში, ომბუდსმენის ოფისში და სხვადასხვა - გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციაში. დელეგაციის წევრები ასევე გაეცნენ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ არსებულ მექანიზმებს.

2018 წლის 21 აპრილი - 14 მაისი - გენდერული თანასწორობის საბჭოს კოორდინატორმა, ანა წურწუმიამ მონაწილეობა მიიღო აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო ვიზიტორ ლიდერთა პროგრამაში (IVLP).

2018 წლის 22 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა უმასპინძლა მშვიდობის დარგში პირველი ქალი ნობელიანტის, ავსტრიელი ბერტა ფონ ზუტნერისადმი მიძღვნილ გამოფენას. ღონისძიების ფარგლებში, სიტყვით გამოვიდნენ გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, თამარ ჩუგოშვილი და წევრები - თამარ ხულორდავა და სოფო კილაძე. მათ ისაუბრეს როგორც ბერტა ფონ ზუტნერის ცხოვრებასა და საქართველოში მოღვაწეობაზე, ასევე ავსტრიის, როგორც ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყნის პრიორიტეტებზე და საქართველოსთან ურთიერთობაზე. სიტყვით გამოვიდა ასევე ავსტრიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, არად ბენკო.

2018 წლის 26 ოქტომბერს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრმა, გუგული მაღრაძემ მონაწილეობა მიიღო მინსკში გამართულ ლიდერ ქალთა საერთაშორისო ფორუმში, რომლის მთავარ თემებს წარმოადგენდა ქალთა მონაწილეობა პოლიტიკასა და ეკონომიკურ საქმიანობაში, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა, ქალთა კოალიციების გაძლიერება და აკადემიურ განათლებაზე თანაბარი წვდომის საკითხი. გუგული მაღრაძემ თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა გენდერული თანასწორობის მიმართულებით საქართველოში განხორციელებულ საქმიანობაზე და არსებულ გამოწვევებზე.
ფორუმი OSCE/ODIHR-ის ორგანიზებით გაიმართა.

2018 წლის 1 ნოემბერს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრმა, გუგული მაღრაძემ მონაწილეობა მიიღო ბაქოში გამართულ მაღალი დონის საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც ადამიანთა ტრეფიკინგსა და არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლის საქმეში პარლამენტების როლის გამოკვეთას მიეძღვნა.

2018 წლის 22 ნოემბერს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი, გუგული მაღრაძე ეუთო-ში ტრანსნაციონალური უსაფრთხოების კოორდინატორს, რასა ოსტრაუსკაიტეს, ეუთო-ს მთავარ მრჩეველს გენდერულ საკითხებში, ამარსანა დარისურენს და პროექტის „ქალების ლიდერობა საზღვრის უსაფრთხოების მართვაში“ სხვა წარმომადგენლებს შეხვდა. გუგული მაღრაძემ მათ გაუზიარა გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობა, მიღწეული პროგრესი და არსებული გამოწვევები. მან ყურადღება გაამახვილა კონფლიქტის რეგიონებში, ე.წ. საზღვრისპირა სოფლებში ქალთა უფლებების დაცვაზე და საბჭოს ამ კუთხით ჩართულობაზე. შეხვედრის ფარგლებში ასევე ხაზი გაესვა უსაფრთხოების საკითხებში ქალთა ჩართულობის მნიშვნელობას.

2018 წლის 3-7 დეკემბერს, გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა, ირინა ფრუიძემ და ნინო გოგუაძემ მონაწილეობა მიიღეს აშშ-ში გამართულ „დემოკრატიის პარტნიორობის პალატის (HDP)” ლიდერი ქალების სემინარში, სადაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელ პოლიტიკოს ქალებთან ერთად, განიხილეს გენდერული თანასწორობის და ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის საკითხები. სემინარი ორგანიზებული იყო საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) მიერ.

2018 წლის 7 დეკემბერს, გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი, გუგული მაღრაძე მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებს - ალან ტარიოვსკის და ცეზარ სანჩოს შეხვდა. მან წარმომადგენლებს გააცნო გენდერული თანასწორობის საბჭოს მუშაობა გენდერული თანასწორობის გაუმჯობესების კუთხით, რაც, მისი თქმით, დადებით გავლენას ახდენს ქალთა სიღარიბის დაძლევაზე. შეხვედრის ფარგლებში საუბარი იყო ადრეული ქორწინების გავლენაზე ქალთა დასაქმების კუთხით და ასევე დედაქალაქსა და რეგიონებს შორის სხვაობაზე ქალების დასაქმებასთან მიმართებით. გუგული მაღრაძემ ასევე ისაუბრა გენდერული თანასწორობის საბჭოს საკანონმდებლო ინიციატივებზე, მათ შორის - სექსუალური შევიწროების რეგულირებაზე, შრომის კოდექსში შესატან ცვლილებებსა და ქალთა პოლიტიკური ჩართულობის გაზრდის მიზნით, სავალდებულო გენდერული კვოტირების შემოღებაზე.

საქმიანობა 4.5. კოორდინირებული საქმიანობა დონორ ორგანიზაციებთან

2018 წლის 17 აპრილს გაიმართა დონორთა საკოორდინაციო შეხვედრა. შესაბამისად, 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის საქმიანობები, დონორთა პრიორიტეტების მიხედვით გადანაწილდა. დონორთა საკოორდინაციო შეხვედრებს საბჭო 2017 წლიდან რეგულარულად მართავს, რათა გაიზარდოს დონორთა ტექნიკური დახმარების ეფექტიანობა.

ამოცანა V- გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების და ქალთა გაძლიერების მხარდამჭერ ღონისძიებებში მონაწილეობა

საქმიანობა 5.1. სავალდებულო გენდერული კვოტირების მისაღებად საჭირო ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების მხარდაჭერა

2018 წლის 15 თებერვალს გაიმართა შეხვედრა მედიის წარმომადგენლებთან ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე. შეხვედრაში მონაწილეობდნენ გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები - თამარ ჩუგოშვილი და ელენე ხოშტარია. მათ მიმოიხილეს ის საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს სავალდებულო გენდერული კვოტირების შემოღებას. ქალთა მიმართ ძალადობაზე საუბრისას კი მათ აღნიშნეს, რომ ამ პრობლემასთან გამკლავებაში სახელმწიფოსთან ერთად დიდი როლი ეკისრება მედიას და სამოქალაქო საზოგადოებას.

2018 წლის 7 მარტს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრმა, ნინო წილოსანმა მონაწილეობა მიიღო კავკასიურ სახლში გამართულ დისკუსიაში, სადაც ერთ-ერთი მთავარი თემა ქალთა პოლიტიკური ჩართულობა და სავალდებულო გენდერული კვოტირების მექანიზმი იყო. ნინო წილოსანმა ღიად დაუჭირა მხარი კვოტირების შემოღებას და განაცხადა, რომ კვოტირება ხელს შეუწყობს ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდას და, შესაბამისად, ქალთა პრობლემების გადაჭრის გზების აქტიურ განხილვას.

2018 წლის 20 მარტს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები, ნინო წილოსანი და დიმიტრი ცქიტიშვილი სტუდენტებს შეხვდნენ. შეხვედრის ფარგლებში სხვა საკითხებთან ერთად, განხილული იქნა ქალთა პოლიტიკური ჩართულობა და გენდერული კვოტირების მექანიზმი. საბჭოს წევრებმა ისაუბრეს იმ დადებით შედეგებზე, რომელთაც კვოტირების შემოღება მოიტანს.

2018 წლის 24 მაისს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრმა, ნინო წილოსანმა მონაწილეობა მიიღო არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰელფინგ ჰენდის“ მიერ ორგანიზებულ ფორუმში - „ახალგაზრდა გოგონების ჩართულობა პოლიტიკურ ცხოვრებაში“. ნინო წილოსანმა ყურადღება გაამახვილა მომავალი თაობის გოგონების გაძლიერების მნიშვნელობაზე, ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებასა და პოლიტიკური ჩართულობის გაზრდაზე. მან ისაუბრა პარლამენტში მეტი ქალი წევრის ყოფნის მნიშვნელობაზე.

2018 წლის 26 ივნისს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი, თინათინ ბოკუჩავა სიტყვით გამოვიდა საერთაშორისო კონფერენციაში სახელწოდებით, „ფული პოლიტიკაში“. თავის გამოსვლაში მან ყურადღება გაამახვილა ქალთა პოლიტიკური ჩართულობის გაზრდის მნიშვნელობაზე და საჯაროდ დაუჭირა მხარი სავალდებულო გენდერული კვოტირების შემოღებას. თინათინ ბოკუჩავამ ისაუბრა გენდერულ კვოტირებასთან დაკავშირებულ იმ პოზიტიურ ცვლილებებზე, რომლებიც ხელს შეუწყობს ქალი პარლამენტარების მომრავლებას უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში.

2018 წლის 2 ივლისს საქართველოს პარლამენტმა „John Smith Trust”-ის მიერ ორგანიზებულ კონფერენციას უმასპინძლა. კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდნენ გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები, თამარ ხულორდავა და ირინა ფრუიძე. სხვა საკითხებთან ერთად, ყურადღება გამახვილდა ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობასა და გენდერული კვოტირების საკითხზე. მათ იმსჯელეს იმ გზებზე, რომლებიც ხელს შეუწყობს ქალთა წარმომადგენლობის გაზრდას გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე.

საქმიანობა 5.2. თემატური საჯარო შეხვედრების გამართვა საქართველოს რეგიონებში.

2018 წლის 15 მარტს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრმა, ირინა ფრუიძემ მონაწილეობა მიიღო თელავში, აღმოსავლეთ ევროპის მრავალპარტიული დემოკრატიის ცენტრის (EECMD) ორგანიზებით გამართულ დისკუსიაში: „რატომ არის საჭირო თანასწორობა პოლიტიკაში?“ შეხვედრის ფარგლებში, ირინა ფრუიძემ აღნიშნა კვოტირების მექანიზმის შემოღების და ამ საკითხზე ცნობიერების ამაღლების მნიშვნელობა.

2018 წლის 23 მაისს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრმა, ირინა ფრუიძემ საინფორმაციო შეხვედრა გამართა რუსთავში, სადაც გენდერული თანასწორობის, ქალთა უფლებების, ოჯახში ძალადობისა და დისკრიმინაციის საკითხებზე გამახვილდა ყურადღება. ღონისძიება პროექტის „ადამიანის უფლებების საკითხებზე ინფორმაციის გაცვლის გაუმჯობესება ცენტრსა და რეგიონებს შორის“ ფარგლებში, „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელის“ მიერ „აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის“ პროექტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.



2018 წლის 15 ივნისს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრმა, ნინო წილოსანმა მონაწილეობა მიიღო ოზურგეთში გამართულ საინფორმაციო შეხვედრაში ქალთა უფლებებზე, ოჯახურ ძალადობასა და დისკრიმინაციის საკითხებზე. შეხვედრის ფარგლებში განიხილეს დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული კანონმდებლობა და მექანიზმები, ამ კუთხით მიღწეული შედეგები და სამომავლო გეგმები.

შეხვედრა გაიმართა პროექტის „ადამიანის უფლებების საკითხებზე ინფორმაციის გაცვლის გაუმჯობესება ცენტრსა და რეგიონებს შორის“ ფარგლებში, „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელის“ მიერ „აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის“ პროექტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) ფინანსური მხარდაჭერით.

2018 წლის 25-27 ივნისს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრმა, რატი იონათამიშვილმა მონაწილეობა მიიღო წყალტუბოში გამართულ მუნიციპალურ „ქალთა ოთახების“ გაერთიანებულ შეხვედრაში. მან ისაუბრა ადგილობრივ ხელისუფლებაში გენდერული თანასწორობის მიმართულების განვითარებისა და გაძლიერების მნიშვნელობაზე და ამ კუთხით, პარლამენტის მხრიდან დახმარებაზე მზაობა გამოთქვა.

„ქალთა ოთახების“ და აღნიშნული ღონისძიების მხარდამჭერია შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) სამხრეთ კავკასიის ოფისი.

2018 წლის 19 ივლისს გაიმართა პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს საინფორმაციო შეხვედრები ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოებთან.

შეხვედრების ფარგლებში, პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს კოორდინატორმა ისაუბრა საბჭოს სტრუქტურისა და საქმიანობის შესახებ. ამასთან ერთად, მიმოიხილა ისეთი საკითხები, როგორებიცაა: სექსუალური შევიწროება, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა, ქალთა პოლიტიკური ჩართულობა, ეკონომიკური გაძლიერება, დეკრეტული შვებულება, ნაადრევი ქორწინება და სელექციური აბორტი, ასევე გენდერული გავლენის შეფასება (GIA) და საქართველოს გამოცდილება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შეხვედრას ესწრებოდა ლანჩხუთ-ჩოხატაურის მაჟორიტარი დეპუტატი, გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი, ნინო წილოსანი, რომელმაც ისაუბრა გენდერულ კვოტირებაზე, როგორც დროებით სპეციალურ მექანიზმზე, სტამბოლის კონვენციის რატიფიცირების მნიშვნელობასა და თანმხლებ საკანონმდებლო ცვლილებებზე.

საინფორმაციო შეხვედრები ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში განხორციელდა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მხარდაჭერით.

2018 წლის 15 ოქტომბერს ნინო წილოსანმა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან, ასევე „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელის“ ახალციხის ოფისში ადგილობრივ მოსახლეობასთან გამართა საინფორმაციო შეხვედრა გენდერული თანასწორობის, ოჯახში ძალადობისა და დისკრიმინაციის საკითხებზე.

საუბარი შეეხო ქალთა უფლებებს, მათი პოლიტიკური ჩართულობისა და ეკონომიკური გაძლიერების საჭიროებას, ასევე, დისკრიმინაციასთან ბრძოლის მექანიზმებს.



საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არჩევნებში მონაწილე
პოლიტიკური სუბიექტები და ქალი კანდიდატები

№1 საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია
(130 კაციანი სია)
6 ქალი კანდიდატი
N36 ელეონორა ტერ-ფარსაგოვა-მახვილაძისა
N61 მინადორა ტოროშელიძე
N72 ქრისტინე შარაშიძე
N79 ელისაბედ ბოლქვაძე
N110 ანნა (ოლღა) სოლოღაშვილი
N126 მარიამ ბერიანიძე

N3 საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია
(73 კაციანი სია)
5 ქალი კანდიდატი
N31 მარიამი ჩხეიძე
N49 ნინო მაჩაბელი-ანდრონიკაშვილისა
N51 ოლღა სანიკიძე-ვალაბუევისა
N54 სოფიო ზარიძე
N68 ნინა ნათიერაძე

N5 საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია
(120 კაციანი სია)
9 ქალი კანდიდატი
N26 ნინო ნაკაშიძე
N37 მელანია გველესიანი
N41 ალექსანდრა ბერეკაშვილი-სანიკიძისა
N43 თამარ ფალავანდიშვილი
N46 ელენე იმნაძე
N56 თამარ მაჭავარიანი
N65 აგრაფინა ბახტაძე
N78 ლიუბა ჩხენკელი
N107 ანნა იურკევიჩი

N7 საქართველოს რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა პარტია
(50 კაციანი სია)
1 ქალი კანდიდატი
N24 ნადეჟდა შალამბერიძე

ქალთა უფლებების საერთაშორისო დღე

2018 წლის 8 მარტს გენდერული თანასწორობის საბჭომ უმასპინძლა გამოფენას - “ქალები პოლიტიკაში - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) გამოცდილება”. გამოფენა მიეძღვნა ქალთა საერთაშორისო დღეს და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლის იუბილეს.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს მოღვაწე პოლიტიკოს ქალთა და პოლიტიკურ აქტივისტთა პორტრეტები, საკანონმდებლო ინიციატივები, მათი პოლიტიკური საქმიანობის ამსახველი წერილები. გარდა ამისა, ღონისძიებისთვის მომზადდა პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დროს გამოყენებული საარჩევნო ბიულეტენი, პოლიტიკური პარტიების საარჩევნო სიები და საერთაშორისო თანამშრომლობის ამსახველი ფოტოები.

საქმიანობა 5.3 ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების მხარდაჭერა და მათში მონაწილეობის მიღება

2018 წლის 16 თებერვალს თამარ ჩუგოშვილმა მონაწილეობა მიიღო დიალოგში თემაზე: „როგორ იცავს ქალებს კანონი," სადაც ისაუბრა სტამბოლის კონვენციის რატიფიცირებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომლებიც მიმართულია ოჯახში ძალადობის კუთხით არსებული სამართლებრივი ბაზის დახვეწისკენ; ასევე „იურიდიული დახმარების შესახებ" კანონში შესატან ცვლილებებზე. მან აღნიშნა, რომ გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იქნება საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობა ქალთა მიმართ ძალადობის კუთხით, კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანა.

2018 წლის 18 ივნისს გაიმართა „ფემიციდის მონიტორინგის ანგარიშის" პრეზენტაცია. ღონისძიების ფარგლებში სიტყვით გამოვიდა გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი, დიმიტრი ცქიტიშვილი, რომელმაც მიმოიხილა ფემიციდის საკითხებზე მუშაობისას გასათვალისწინებელი ძირითადი განზომილებები - სამართლებრივი, სტრუქტურული და დისკურსის ცვლილებები. მან ხაზი გაუსვა ფემიციდის პრობლემის კომპლექსურობას და აუცილებლად მიჩნია საწყის ეტაპზე ფემიციდის განსაზღვრება.

2018 წლის 15 ნოემბერს გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია - „ფემიციდის შემთხვევების მონიტორინგი პრევენციისთვის," რომელშიც მონაწილეობდა გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი, დიმიტრი ცქიტიშვილი. თავის გამოსვლაში მან ყურადღება გაამახვილა კაცების ჩართულობის მნიშვნელობასა და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე მათი ცნობიერების ამაღლების აუცილებლობაზე. დიმიტრი ცქიტიშვილის განცხადებით, ფემიციდთან და, ზოგადად, ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლა რამდენიმე მიმართულებით არის შესაძლებელი: ძალადობა უნდა გახდეს დასჯადი და ამას ხელს უწყობს სისხლის სამართლის კოდექსში გენდერული ნიშნით ძალადობაზე სპეციალური დამამძიმებელი მუხლის გაჩენა; მნიშვნელოვანია ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და ასევე - კულტურული ტრანსფორმაცია.

საქმიანობა 5.4. თანამშრომლობის და კოორდინაციის გაძლიერება გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებების საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო ქსელებთან და ორგანიზაციებთან

2018 წლის 6-8 ივნისს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, თამარ ჩუგოშვილი სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ვილნიუსში, სადაც მან მონაწილეობა მიიღო „პოლიტიკოს ლიდერ ქალთა ყოველწლიურ გლობალურ სამიტში“. თამარ ჩუგოშვილი მოდერირებდა პანელს თემაზე „გენდერული ბიუჯეტირება“. მან ხაზი გაუსვა გენდერული ბიუჯეტირების მნიშვნელობას ქვეყნის განვითარების პროცესში და ისაუბრა საქართველოს პარლამენტში არსებულ ისეთ ინიციატივებზე, როგორებიცაა: კანონმდებლობის გენდერული ანალიზი და ბიუჯეტის გენდერული ანალიზი.

2018 წლის 25 სექტემბერს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, თამარ ჩუგოშვილი საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) ხელმძღვანელს, ჯონ დიპიროს და ქალთა დემოკრატიის ქსელის (WDN) დირექტორს, ვალერი დოულინგ შეხვდა. შეხვედრაზე განიხილეს ქალთა დემოკრატიის ქსელის მომავალი საქმიანობის პერსპექტივები საქართველოში.

2018 წლის 10 ნოემბერს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ჩუგოშვილმა მონაწილეობა მიიღო დისკუსიაში "ფემინისტური დიალოგი პოლიტიკისთვის," სადაც მან ისაუბრა საბჭოს საკანონმდებლო ინიციატივებზე, მათ შორის ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიზნით შრომის კოდექსში შესატან ცვლილებებზე. ამასთან ერთად, მიმოიხილა კანონმდებლობის და ბიუჯეტის გენდერულ ანალიზზე.
ღონისძიება გაიმართა ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროსა და ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) ორგანიზებით.

საქმიანობა 5.5. ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის, ფემიციდის შემთხვევებზე მომუშავე პირების (გამოძიება, სასამართლო, პროკურატურა, იურიდიული დახმარება) ცნობიერების ამაღლების მხარდაჭერა

2018 წლის 5 ნოემბერს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ჩუგოშვილმა მონაწილეობა მიიღო კონფერენციაში - „ქალ მოსამართლეთა როლი სასამართლო სისტემაში". თავის გამოსვლაში მან ისაუბრა სასამართლო სისტემაში არსებულ ე.წ. „შუშის ჭერის" პრობლემაზე, კერძოდ, იმ ფაქტზე, რომ ქალი მოსამართლეების საერთო რაოდენობა სჭარბობს მამაკაცებისას, თუმცა მათი მონაწილეობა სისტემის მართვაში არის გაცილებით დაბალი. თამარ ჩუგოშვილმა აღნიშნა, რომ სისტემები, სადაც ქალები და კაცები თანაბრად არიან წარმოდგენილი გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე, არის მეტად გამჭვირვალე, ნაკლებად კორუმპირებული და ნაკლებად კლანური.

საქმიანობა 5.6. სექსუალური შევიწროების შესახებ ცნობიერების ამაღლება

2018 წლის 29 ივნისს გაიმართა ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) უახლესი კვლევის პრეზენტაცია, სახელწოდებით „თანასწორობა შრომით ურთიერთობებში". ღონისძიების ფარგლებში სიტყვით გამოვიდა გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი, დიმიტრი ცქიტიშვილი, რომელმაც შრომით ურთიერთობებში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ისაუბრა. მან აგრეთვე მიმოიხილა სექსუალური შევიწროების თაობაზე გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობა და სამომავლო გეგმები.

საქმიანობა 5.7. საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების და/ან სამოქალაქო საზოგადოების მიერ ორგანიზებულ ცნობიერების ამაღლების კამპანიებში აქტიური ჩართულობა

2018 წლის 15 მაისს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი, დიმიტრი ცქიტიშვილი საერთაშორისო სოლიდარობის ცენტრის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრის მთავარი თემა გენდერული თანასწორობა და შრომითი უფლებები იყო. ძირითადი ყურადღება გამახვილდა ქალთა შრომითი უფლებების დაცვაზე.

2018 წლის 27 მარტს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ჩუგოშვილმა გახსნა რიგით მეოთხე ყოველწლიური კონფერენცია, სახელწოდებით: „ქალის როლი ეკონომიკის ზრდასა და რეფორმების შემუშავებაში“. თამარ ჩუგოშვილმა ისაუბრა ისეთ გამოწვევებზე, როგორებიცაა, მაგალითად: გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივი და ცენტრალური თვითმმართველობის დონეზე ქალთა ძალიან დაბალი წარმომადგენლობა, თანასწორი შრომისთვის ქალებისა და კაცების ანაზღაურებაში დაახლოებით 40%-იანი სხვაობა, ქვეყანაში ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემა და სხვა.

თამარ ჩუგოშვილმა ხაზი გაუსვა გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობას ქალთა პოლიტიკური, ეკონომიკური გაძლიერების კუთხით, ასევე შრომის კოდექსის გაუმჯობესების კუთხით, რაც ხელს შეუწყობს ქალებს უფრო აქტიურად ჩაერთონ ეკონომიკურ ცხოვრებაში და უფრო მეტად გაძლიერდნენ.

2018 წლის 21-22 ნოემბერს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრმა, გუგული მაღრაძემ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონფერენციაში - „მედიაციის დღეები 2018“. კონერენციას ესწრებოდა ასზე მეტი მონაწილე: სხვადასხვა ქვეყნის ექსპერტები, მეცნიერები და პრაქტიკოსები, ასევე საქართველოს აღმასრულებელი, საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლები და სპეციალისტები სამართალდამცავი ორგანიზაციებიდან. გუგული მაღრაძემ მოდერაცია გაუწია პანელს სახელწოდებით „გენდერი მედიაციაში“.

2018 წლის 5 დეკემბერს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრმა, სოფო კილაძემ მონაწილეობა მიიღო შეხვედრაში - „ქალი ლიდერები თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში“. მან დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და ყურადღება გაამახვილა შრომით ურთიერთობებში გენდერული დისკრიმინაციის საკითხებსა და სექსუალური შევიწროების კუთხით არსებულ გამოწვევებზე.

საქმიანობა 6.2. გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის ანგარიშის მოსმენა

2018 წლის დეკემბერში გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებს გაეგზავნათ ინფორმაცია და პრეზენტაცია გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის 1 წლის საქმიანობის ანგარიშის შესახებ. ანგარიშის მოსმენა დაგეგმილია 2019 წლის დასაწყისში, საბჭოს სხდომაზე.

მიმდინარე წლის განმავლობაში:

ჩატარდა გენდერული თანასწორობის საბჭოს 3 სხდომა:
2018 წლის 10-11 იანვარი (გასვლითი სხდომა)
2018 წლის 17 აპრილი
2018 წლის 2 ოქტომბერი

მომზადდა საბჭოს 3 საინფორმაციო ბიულეტენი
ნოემბერი 2017 - იანვარი 2018
თებერვალი-აპრილი 2018
მაისი-აგვისტო 2018

გენდერული თანასწორობის საბჭომ, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, მონაწილეობა მიიღო შემდეგი ანგარიშების შედგენაში:

CEDAW კომიტეტში წარსადგენი ანგარიში
UPR (გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა)
Global Survey ICPD

საბჭოს ტექნიკურ დახმარებას უწევდნენ:

NDI, UNDP, UN Women, UNFPA, PROLoG/USAID, GGI/USAID

სხვა ადგილობრივი ღონისძიებები

14 თებერვალი - შეხვედრა პარლამენტში ევროსაბჭოს დელეგაციასთან (საკითხები: დისკრიმინაცია, სიძულვილის ენა);
6 მარტი - UN Women-ის კვლევის პრეზენტაცია ძალადობაზე;
7 მარტი - Femicide Watch პორტალის პრეზენტაცია GIPA-ში;
17 აპრილი - ამბასადორიალის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა;
19 აპრილი - UNFPA-ს კვლევის პრეზენტაცია ადრეულ/ბავშვთა ქორწინებაზე;
3-4 მაისი - გენდერული სტატისტიკის მომხმარებლის ტრენინგი (საქსტატი);
11 მაისი - „ვიშეგრადის ქვეყნებისა და საქართველოს გამოცდილება ადგილობრივ დონეზე თანაბარი, ინკლუზიური და დემოკრატიული მმართველობისათვის“ (ფონდი „სოხუმი“);
30 მაისი - “Turning Promises into Action: Gender Equality in the 2030 Agenda for Sustainable Development” - კვლევის პრეზენტაცია (UN Women);
5 ივნისი - Workshop: “Building Behavioral Capacities in Georgia” (Behavioral Insights Team);
18 ივნისი - „ფემიციდის მონიტორინგის შედეგების პრეზენტაცია“(სახალხო დამცველი, UN Women);
19 ივნისი - შეხვედრა: „სტამბოლის კონვენცია და მონიტორინგის მექანიზმი“(სახალხო დამცველი);
26-27 ივნისი - რეგიონალური კონფერენცია „ფული პოლიტიკაში“ (სახელმწიფო აუდიტის სამსახური, CoE, OSCE/ODIHR, TI, USAID, IFES, IDEA, EECMD);
27 ივნისი - გენდერული თვალსაზრისით აქტივების ფლობის სტატისტიკური კვლევის პრეზენტაცია (საქსტატი);
24 სექტემბერი - საკრებულოს წევრ ქალთა ფორუმი, ყოველწლიური კონფერენცია - „ქალები მართავენ ქვეყანას“ (UNDP, MSPA, SDC, Sverige);
25-26 სექტემბერი - გენდერული გავლენის შეფასების (GIA) ტრენინგი საპარლამენტო კომიტეტებისთვის;
25 ოქტომბერი - შეხვედრა ევროსაბჭოს წარმომადგენლებთან გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობასა და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე;
12 ნოემბერი - შეხვედრა ავსტრიელ ექსპერტთან, ელიზაბეტ კლაცერთან გენდერული ბიუჯეტირების თემაზე;
15 ნოემბერი - პრეზენტაცია „ფემიციდის შემთხვევების მონიტორინგი პრევენციისთვის“ (სახალხო დამცველი, UN Women);
15-16 ნოემბერი - გენდერული ბიუჯეტირების მეთოდოლოგიის ტრენინგი (უწყებათაშორისი კომისია, CoE);
19-20 ნოემბერი - ტრეინინგი: პოლიტიკის მიდგომები გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრაქტიკის აღმოსაფხვრელად (UNFPA);
17 დეკემბერი - ადამიანის უფლებათა კომიტეტის კანონპროექტის (ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა) პრეზენტაცია (საქართველოს პარლამენტი, აშშ-ის საელჩო);
17 დეკემბერი - გენდერული თანასწორობის საბჭოს დონორთა საკოორდინაციო შეხვედრა გენდერული თანასწორობის ტრენინგ მოდულის შექმნის თაობაზე;
21 დეკემბერი - გენდერული სტატისტიკის პორტალის პრეზენტაცია (საქსტატი).

გაშუქება მედიაში



ჟურნალი "პარლამენტი"
თამარ ჩუგოშვილი
ელენე ხოშტარია
თინათინ ბოკუჩავა

ჟურნალი "სთეფს""
თამარ ჩუგოშვილი
ელენე ხოშტარია

ჟურნალი "ინდიგო"
თამარ ჩუგოშვილი

იანვარი-დეკემბერი 2018



ანგარიში მომზადებულია
გენდერული თანასწორობის
საბჭოს სამდივნოს მიერ